



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებები



№ 7 (276)

11 მაგზი

1965 წელი

შ ი ნ ა რ ს ი

ნაწილი I

ბანყოფილება მიორი

- 93. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა თეატრალური კრატე-კოსის ვ. თ. პიმენოვის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.
- 94. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მილიციის უმცროს სერჟანტ გ. კ. უგონდიკოვის მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
- 95. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. ლ. ობერნიკის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
- 96. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. თ. თ. კუზიუკოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
- 97. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აზერბაიჯანის სსრ ხელოვნების მოღვაწეების ფ. ამირაოვის და ო. კურბანოვასათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

ბანყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ა. ი. შიქოიანს რწმუნების სიგელები გადასცა კამერუნის ფედერაციული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სიმონ ნკო ო ეტუნგუმ.  
 სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.  
 მოკავშირე რესპუბლიკების აღმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარი ცვლილებები.

ნაწილი II

ბანყოფილება პირველი

- 98. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მშრომელთა დემუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ.
- 99. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქ. რუსთაველი, ზესტაფონის, მახარაძის, ქ. თბილისის ორჯონიკიძის, 26 კომისრისა და ოქტომბრის ნებში ამხანაგური სასამართლოების მუშაობის შესახებ.



100. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ზ. ბ. გელდიანის საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.
101. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს გარდაქმნის შესახებ.
102. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ბ. ღვიწღიას საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

### ბანყოფილება მეორე

103. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სოფლის მეურნეობის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.
104. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
105. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
106. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. ი. ლომჯარიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
107. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ზ. გამყრელიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
108. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ა. კოტარიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
109. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. ვ. კეშელავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
110. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. რ. შელიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
111. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ვ. თალაკვაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
112. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ს. ვ. ბარნაველის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
113. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. რ. ო. შმერლინგის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

### ბანყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა.

## ნაწილი I

## ბანუოფილება მიორა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**93** თეატრალური კრიტიკოსის ვ. თ. კიშენოვის „საპატიო ნიშნის“  
ორდენით დაჯილდოების შესახებ

თეატრალური ხელოვნების დარგში მრავალი წლის წარმატებით მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით თეატრალური კრიტიკოსი ვლადიმერ თევდორეს ძე კიშენოვი დაჯილდოვდეს „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 24 თებერვალი.

№ 3305-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**94** მილიციის უმცროს სერჟანტ ვ. ა. უგოდნიკოვის მედლით „მამაცობისათვის“  
დაჯილდოების შესახებ

დამნაშავეთა დაკავების დროს გამოჩენილი გაბედული მოქმედებისა და ვაჟკაცობისათვის მილიციის უმცროსი სერჟანტი გენადი კონსტანტინეს ძე უგოდნიკოვი დაჯილდოვდეს მედლით „მამაცობისათვის“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 25 თებერვალი.

№ 3306-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**95** ანხ. ს. ლ. ოზარნიკის შრომის წითელი დროშის ორდენით  
დაჯილდოების შესახებ

მრავალი წლის აქტიური შრომითი და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის ანხ. სტეფანე ლუდვიგის ძე ოზარნიკი დაჯილდოვდეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 1 მარტი.

№ 3314-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ

## 96 ახ. თ. თ. კუზიუკოვის შრომის წითელი დროის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით სკკპ ჩელიაბინსკის ოლქოვის პირველი მდივანი ა. მ. თევდორე თევდორეს ძე კუზიუკოვი დაჯილდოვდეს შრომის წითელი დროის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 1 მარტი.

№ 3316-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ

## 97 აზერბაიჯანის სსრ ხელოვნების მოღვაწეების ფ. ამროვის და ი. კურბანოვასათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის მიენიჭოთ სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდება:

ამროვს ფიქრეთ მეშადი ჯამილ ოღლის — კომპოზიტორს.

კურბანოვას ოქუმა აბას აღი ყზის — აზერბაიჯანის მ. აზიზბეკოვის სახელობის შრომის წითელი დროის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის მსახიობს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 2 მარტი.

№ 3317-VI.

## ბანყოფილება მისამი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ა. ი. მიქოიანს რწმუნების სიგელები გადასცა კამერუნის ფედერაციული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სიმონ ნკო' ო ეტუნგუ.

27 თებერვალს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ი. მიქოიანმა მიიღო კამერუნის ფედერაციული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საბჭოთა კავშირში სიმონ ნკო' ო ეტუნგუ, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების სიგელები.





ელჩს ახლდნენ საელჩოს პირველი მდივანი გ. ტანკუა, მესამე მდივანი მ. ნტამარკი და ატაშე ა. ანჯამა ვიანგი.

რწმუნების სიგელების გადაცემისა და მას შემდეგ, რაც სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს, ა. ი. მიქოიანსა და სიმონ ნკო' ო. ეტუნგუს შორის გაიმართა მეგობრული საუბარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა მ. პ. გიორგაძემ და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვ. ს. სემიონოვმა.

### უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

უზბეკეთის სსრ სახალხო მეურნეობის განვითარებაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1965 წლის 1 მარტის ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა უზბეკეთის სსრ 23 მუშაკს, რომელთაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი.

უზბეკეთის სსრ სახალხო მეურნეობის განვითარებაში მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1965 წლის 1 მარტის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა უზბეკეთის სსრ სოფლის მეურნეობის, წარმოების, ტრანსპორტის, მშენებლობის, ვაჭრობის, მეცნიერებისა და კულტურის 10996 მოწინავე მუშაკი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია 434 კაცი, შრომის წითელი დროშის ორდენით — 1407, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 2529, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 3523 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 3103 კაცი.

ბრძანებულებები ქვეყნდება „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“.

### მოკავშირე რესპუბლიკების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარი ცვლილებები

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ნოემბრის პლენუმის დადგენილების შესაბამისად იმ მიზნით, რომ უფრო წარმატებით უხელმძღვანელონ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობას, მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა მიიღეს ბრძანებულებები მხარეებსა და ოლქებში ერთიანი საბჭოთა ორგანოების აღდგენის შესახებ.

ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომების წინადადებათა საფუძველზე შექმნილია ერთიანი რაიონები ნაცვლად აღრე შექმნილი სასოფლო და სამრეწველო რაიონებისა, მოხდა ცვლილებები ზოგიერთი ქალაქის ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში.

ინფორმაცია მომხდარ ცვლილებებზე გამოქვეყნებულია „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“ (№ 8, 1965 წლის 24 თებერვალი).

## ნაწილი II

## ბანუოფილება პირველი

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 98 საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადება მიმდინარეობს ორგანიზებულად და მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა არჩევნების დებულებით დაწესებულ ვადებში დაამტკიცეს საარჩევნო ოლქებისა და საარჩევნო უბნების საზღვრები და საარჩევნო კომისიების შემადგენლობა. საარჩევნო კომისიები დაკომპლექტებულია ავტორიტეტული და მუშაობის პრაქტიკული გამოცდილების მქონე ამხანაგებით. საბჭოების აღმასკომებში ჩატარებულ იქნა საარჩევნო კომისიების წევრთა საინსტრუქტაჟო თათბირები.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნების საარჩევნო ოლქები და საარჩევნო უბნები ძირითადად მოწყობილია შესაფერის შენობებში, ისინი მომარაგებული არიან არჩევნებისათვის საჭირო დოკუმენტაციის ბლანკებით, სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კონსტიტუციებით, არჩევნების დებულებებით, პლაკატებით, სხვა საარჩევნო ლიტერატურით და ინვენტარით. საარჩევნო კომისიებს შედგენილი აქვთ სამუშაო გეგმები და წევრთა შორის განაწილებულია ფუნქციები.

მაღალი აქტივობის ვითარებაში ტარდება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატების წამოყენებისადმი მიძღვნილი კოლმეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებები. მოსახლეობაში ფართოდაა გაშლილი სააგიტაციო მასობრივი მუშაობა. ქალაქის და სოფლის მშრომელები ფართოდ არიან ჩაბმული წინასაარჩევნო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ამასთან ერთად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ არჩევნებისათვის მზადების საქმეში მშრომელთა დეპუტატების ზოგიერთ საბჭოს აღმასკომს გააჩნია ნაკლოვანებები.

გორისა და ხაშურის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დებულების დარღვევით შექმნეს საქალაქო საბჭოების არჩევნების საარჩევნო ოლქები, რის შედეგადაც ქალაქ გორში 5 და ქალაქ ხაშურში 6 საარჩევნო ოლქით ნაკლებია შექმნილი.

გეგმეუკორის სადაბო საბჭოს აღმასკომმა დებულებით დაწესებული ვადის დარღვევით გამოაქვეყნა საარჩევნო ოლქების საზღვრები.

ახალციხის რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა გადაწყვეტილებაში არ უჩვენეს ქალაქ ახალციხის ტერიტორიაზე შექმნილი საარჩევნო

ოლქების ცენტრების მისამართი — ქუჩა და ნომერი. ბოლნისის, გარდაბნის, დმანისისა და მარნეულის რაიონების სასოფლო საბჭოების არჩევნების საარჩევნო ოლქების ცენტრებს წარწერა არ აქვთ.

შემოწმების დღისათვის გეგმეკორის რაიონის საბჭოს საარჩევნო კომისიის წევრთა შორის ფუნქციები არ იყო განაწილებული.

გორის და ხაშურის რაიონებში შეცდომებია დაშვებული საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა შემადგენლობის წამოყენებასა და დამტკიცების დროს. არაზუსტადაა ჩაწერილი კომისიის ზოგიერთი წევრის გვარი, სახელი, მამის სახელი, წამომყენებელი ორგანიზაციის სახელწოდება და სხვა.

ქარელის რაიონში საარჩევნო ოლქებისა და საარჩევნო უბნების შექმნამდე დაიწეს მათი საარჩევნო კომისიების შემადგენლობის წამოყენება საერთო კრებებზე.

ადგილი აქვს შეცდომებს სადებუშო ცნობების წარმოდგენის დროს. მაგალითად, ყვარლის რაიონული საბჭოს აღმასკომის სადებუშო ცნობაში სასოფლო საბჭოების არჩევნების საარჩევნო ოლქების რიცხვი 55 ოლქით ნაკლები იყო ნაჩვენები, ვიდრე ფაქტიურადაა შექმნილი.

შემოწმებით გამოვლინდა, რომ თელავის რაიონის ნაფარეულის, საგარეჯოს, რაიონის პატარძელისა და უჯარმის საარჩევნო უბნები სათანადოდ არ არის გაფორმებული. სრულიად შეუფერებელ შენობაშია მოთავსებული თელავის რაიონის სოფელ კურდღელაურის საარჩევნო უბანი.

ზობის რაიონის ძველი ზიბულის, პატარა ფოთის და შუა ქვალონის საარჩევნო უბნები უზრუნველყოფილი არ არის სატელეფონო კავშირით.

სადებუშო ცნობების მიღებისას შეცდომებს უშვებენ კავშირგაბმულობის დაწესებულებები.

საქართველოს სსრ მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების ორგანიზებულად და მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩატარების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დებუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს გააძლიერონ მუშაობა არჩევნებისათვის მზადების საქმეში, რისთვისაც:

ა) მტკიცედ დაიცვან საქართველოს სსრ მშრომელთა დებუტატების არჩევნების დებულებით დაწესებული ვადები არჩევნების მზადებასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარების საქმეში;

ბ) სათანადოდ მოაწყონ საარჩევნო უბნები და საარჩევნო ოლქები, უზრუნველყონ ისინი გათბობა-განათებით, სატელეფონო კავშირით, ხმის მისაცემი კაბინების მოსაწყობი მასალებით, საარჩევნო ყუთებით, კომისიების ბეჭდებით, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციებით, საქართველოს სსრ ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დებულებით, სხვა საარჩევნო ლიტერატურით და საკანცელარიო მასალებით;

გ) დაეხმარონ საარჩევნო კომისიებს სამუშაო გეგმების შედგენასა და წევრთა შორის ფუნქციების განაწილებაში, მტკიცედ დაიცვან საარჩევნო უბნებში კომისიის წევრთა მორიგეობის განრიგი;

დ) საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის მუშაობაში რეზერვად პერიოდულად ჩაატარონ სახსტრუქტაჟო თათბირები;

ე) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამომრჩეველთა სიების დაზუსტებას, მიადწიონ იმას, რომ ხმის უფლების მქონე არც ერთი მოქალაქე არ დარჩეს არჩევნებში მონაწილეობის გარეშე;

ვ) დაუყოვნებლივ განიხილონ არჩევნების საკითხებთან დაკავშირებული მშრომელთა განცხადებები და საჩივრები, მისცენ მათ ზუსტი და ამომწურავი პასუხი;

ზ) ფართოდ გაშალონ მოსახლეობაში სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა, სისტემატურად ჩაატარონ მოხსენებები, ლექცია-საუბრები საბჭოთა საარჩევნო სისტემის და სოციალისტური დემოკრატიზმის ძირითად პრინციპებზე. ფართოდ გააცნონ ამომრჩევლებს დეპუტატობის კანდიდატების შრომითი საქმიანობა, ორგანიზებულად მოაწყონ დეპუტატობის კანდიდატების ამომრჩევლებთან შესახვედრი წინასაარჩევნო კრებები.

2. დავეალოს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს (ამხ. კ. ი. ქავთარაძე):

უზრუნველყოს ყველა საარჩევნო უბანი სატელეფონო კავშირით და მიიღოს საჭირო ზომები, რათა ადგილი არ ექნეს სადეპეშო ცნობების დაგვიანებას ან შეცდომით გადაცემას.

3. დავეალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილებას (ამხ. მ. პ. ბალათურია) თვალყურის ადევნოს აღნიშნული დადგენილების შესრულების მიმდინარეობას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვანჭავაძე.

თბილისი. 1965 წლის 26 თებერვალი.

დადგინდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**99** ქ. რუსთავედი, ზესტაფონის, მახარაძის, ქალაქ თბილისის ორჯონიძის, 26 კომისარისა და ოქტომბრის რაიონების საწარმოებსა და დაწესებულებებში, სახლმმართველობებთან, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შექმნილი ბევრი ამხანაგური სასამართლო თავისი პრაქტიკული საქმიანობით ხელს უწყობს სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას, საბჭოთა მოქალაქეების აღზრდას შრომისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით, ადამიანის ღირსებისადმი პატივისცემის გრძნობის განვითარებას, საზოგადოებრივი ზემოქმედებისა და დარწმუნების გზით სამართლის დარღვევათა თავიდან აცილებას.



ქალაქ რუსთავის № 1 № 9 და თბილისის 26 კომისიის რაიონის № 37 სახლმმართველობების, მახარაძის რაიონის აბრეშუმის ძაფსაღებ-საგრები ფაბრიკის, თბილისის ხორცკომბინატის და სხვა ამხანაგური სასამართლოები სათანადო ყურადღებას უთმობენ სასამართლო სხდომის მომზადებას და დარღვევის ფაქტების წინასწარ შესწავლას. სხდომების შესახებ დროულად აცნობებენ მუშა-მოსამსახურეებს და მობინადრეებს, რის გამოც სასამართლოს სხდომებს ბევრი ხალხი ესწრება და მიღებული გადაწყვეტილებებიც ძირითადად სწორი და დამაჯერებელია.

ამასთან ერთად შემოწმებულ ამხანაგურ სასამართლოებს გააჩნიათ სერიოზული ნაკლოვანებები. მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები და პროფკავშირების საქარხნო, საფაბრიკო და ადგილობრივი კომიტეტები სათანადოდ ვერ წარმართავენ ამხანაგური სასამართლოების მუშაობას, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში შეუფასებლობასაც კი იჩენენ ამხანაგური სასამართლოებისადმი. მახარაძის რაიონში დღემდე არ არის შექმნილი ამხანაგური სასამართლოები ქუჩის კომიტეტებთან და ბევრ საწარმოსა და დაწესებულებაში მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ორგანიზაციაში ამხანაგურ სასამართლოებს გაუვიდათ რწმუნების ვადა, ხელახალი არჩევნები არ ჩატარებულა. დამგებულთა აგრეთვე შეცდომები ამხანაგური სასამართლოს წევრთა რაოდენობის განსაზღვრისას.

ზოგიერთი საწარმოს, დაწესებულების, საბჭოთა მეურნეობისა და კოლმეურნეობის ხელმძღვანელი ჯერ კიდევ საკმაო მნიშვნელობას არ ანიჭებს ამხანაგური სასამართლოების მუშაობას, ჯეროვან ყურადღებას არ უთმობს კანონიერების დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოებრიობის როლის ამაღლებას. საწარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელები ნაცვლად იმისა, რომ სამართლის დარღვევის ფაქტები გადასცენ ამხანაგურ სასამართლოს საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომების გასატარებლად, ასეთი პირების მიმართ აღმინისტრაციულ სასჯელს იყენებენ.

ასე მაგალითად, „საქწიგნის“ რუსთავის № 1 მაღაზიის, მახარაძის რაიონის ლაითურის მუშათა კოოპერატივის გამგეობის, ლაითურის ჩაის ფაბრიკის, მახარაძის № 2 ჩაის ფაბრიკისა და სხვა ორგანიზაციების ამხანაგური სასამართლოებისათვის 1964 წელს არ გადაუციათ არც ერთი საქმე, ხოლო „რუსთავეა-ჭრობაში“, რუსთავის № 1 ავტოსატრანსპორტო კანტორაში და სასადილოების ტრესტში, თბილისის აბრეშუმის საქსოვ და № 1 სამკერვალო ფაბრიკებში, თბილისის ოქტომბრისა და ზესტაფონის რაიონის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატებში, მახარაძის რაიონის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო კანტორაში, პურკომბინატში, ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ამხანაგურ სასამართლოებს განსახილველად გადაეცა სამართლის დარღვევის უმნიშვნელო ნაწილი, მაშინ როდესაც აქ ადგილი აქვს საზოგადოებრივი წესრიგისა და სხვა დარღვევათა ბევრ შემთხვევებს.

ამის შედეგად ზოგიერთ ორგანიზაციაში შრომის დისციპლინისა და სხვა სახის დარღვევები არათუ კლებულობს, არამედ მატულობს.



ასე მაგალითად, თუ ქალაქ თბილისის აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკა წელს ადგილი ჰქონდა სხვადასხვა დარღვევის 82 შემთხვევას, 1964 წელს დაღვევათა რიცხვი 131-მდე გადიდა.

ამხანაგური სასამართლოები ხშირ შემთხვევაში არღვევენ საქმის განხილვისათვის დაწესებულ ვადებს (ზესტაფონის კაბელის ქარხანა, რუსთავის ქალაქის საავადმყოფო, „რუსთავეაჰრობა“, 26 კომისრის რაიონის № 37 სახლმმართველობა, მახარაძის რაიონის ფაიფურის ქარხანა, სოფ. მახარაძე და სხვ.).

ამხანაგური სასამართლოების თავმჯდომარეების უმრავლესობა სათანადოდ არ იცნობს „დებულებას ამხანაგური სასამართლოების შესახებ“, ამიტომ დამარღვევი პირების მიმართ იყენებს საზოგადოებრივი ზემოქმედების ისეთ ღონისძიებებს, რომლებსაც ეს დებულება არ ითვალისწინებს, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში ამეტებს მათთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას.

სერიოზულ შენიშვნას იწვევს თბილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის ამხანაგური სასამართლოს მუშაობის პრაქტიკა (თავმჯდომარე ამხ. დ. ალიბეგაშვილი). ამხანაგურ სასამართლოს 1963 წლიდან შემოღებული აქვს სასამართლო სხდომის წინა თათბირი, რომელზედაც წყდება საკითხი საქმის ამხანაგურ სასამართლოზე განსახილველად გატანის თუ არ გატანის შესახებ.

ამხანაგური სასამართლოები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ დარღვევის ფაქტების წინასწარ შემოწმებას, საკუთარი ინიციატივით არ იხილავენ ამა თუ იმ დარღვევის შემთხვევებს, ზოგჯერ განსახილველად ღებულობენ ისეთ საქმეებს, რომლებიც მათ არ ექვემდებარება, იშვიათად აბარებენ ამომრჩეველებს ანგარიშს თავიანთი მუშაობის შესახებ.

ზოგიერთი ამხანაგური სასამართლოს ოქმი და მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება უხარისხოდ, ცალკეული გადაწყვეტილებები ხელმოუწერელია, ამასთან ბევრ ამხანაგურ სასამართლოში მოუგვარებელია შემოსული მასალების აღრიცხვის საქმე და ა. შ.

ამხანაგური სასამართლოების მუშაობაში არსებული ეს სერიოზული ნაკლოვანებები და დარღვევები გამოწვეულია იმითაც, რომ მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, პროფკავშირების საქარხნო, საფაბრიკო და ადგილობრივი კომიტეტები ჯერ კიდევ არაღამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ მათ, ხოლო პროკურატურის, სახალხო სასამართლოსა და მილიციის ორგანოები არ უწევენ მათ საკმაო ქმედითს და პრაქტიკულ დახმარებას, არ ამოწმებენ მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერებას და სხვ. ამხანაგური სასამართლოები არ არიან უზრუნველყოფილი საკანონმდებლო ცნობარებით, იურიდიული ლიტერატურით და, რაც მთავარია, ამხანაგური სასამართლოების დებულებით. მათ საქმიანობას და მუშაობის დადებით გამოცდილებას ნაკლებად აშუქებენ როგორც ადგილობრივი, ასევე რესპუბლიკური გაზეთები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ადგენს:

1. დაევალოს რუსთავის საქალაქო, ზესტაფონის, მახარაძის, ქალაქ თბილისის 26 კომისრის, ორჯონიკიძისა და ოქტომბრის რაიონული საბჭოების აღმასკომებს მეტი ყურადღება დაუთმონ ამხანაგური სასამართლოების მუშაობას



და ქმედითი დახმარება გაუწიონ მათ ამ დადგენილებაში აღნიშნულ ნაკლებობათა აღმოსაფხვრელად, რისთვისაც:

ა) უმოკლეს ვადაში შექმნან ამხანაგური სასამართლოები ყველა იმ საწარმოსა, დაწესებულებასა და ორგანიზაციაში, სადაც ეს შესაძლებელია დებულების თანახმად, ხოლო იქ, სადაც ამხანაგურ სასამართლოებს გაუვიდათ რწმუნების ვადა, მოაწიონ მათი ანგარიშგება-არჩევნები. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამხანაგური სასამართლოების შემადგენლობაში გამოცდილი, საქმის მცოდნე, მოწინავე და ავტორიტეტის მქონე ადამიანების შერჩევას;

ბ) რეგულარულად შეამოწმონ და განიხილონ ამხანაგური სასამართლოების საქმიანობა, გამოავლინონ მათი მუშაობის ხელისშემშლელი მიზეზები და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებები ამხანაგური სასამართლოების მუშაობის გასაუმჯობესებლად, მათი ავტორიტეტისა და აღმზრდელობითი როლის ასამაღლებლად;

გ) პროკურატურის, სახალხო სასამართლოს, ადვოკატურის და სხვა კვალიფიციური მუშაკების დახმარებით ამხანაგური სასამართლოების წევრებისათვის პერიოდულად ჩატარონ სემინარები, საუბრები და კონსულტაციები ამხანაგური სასამართლოების დებულების, მოქმედი საკანონმდებლო აქტების შესასწავლად; მოაწიონ მათი მუშაობის დადებითი გამოცდილების განზოგადება და ადგილობრივი პრესის საშუალებით გააცნონ მშრომელთა ფართო მასებს ამხანაგური სასამართლოების საქმიანობა; უზრუნველყონ ისინი დებულებით და სხვა საკანონმდებლო და საცნობარო მასალით;

დ) არ დაუშვან ამხანაგური სასამართლოების მიერ საქმეთა განხილვის გაჭიანურების შემთხვევებში, მიაღწიონ იმას, რომ სასამართლო სხდომები ტარდებოდეს წინასწარ მომზადებულად, მაღალ იდეურ დონეზე და მათ ესწრებოდეს მუშა-მოსამსახურეთა უმრავლესობა.

2. დაისვას საკითხი საქართველოს პროფსაბჭოს წინაშე, რათა საწარმოებში, დაწესებულებებში და ორგანიზაციებში მკვეთრად გაუმჯობესდეს ამხანაგური სასამართლოების მუშაობა, პერიოდულად ჩატარდეს ამხანაგური სასამართლოების შემადგენლობისათვის სემინარები და საინსტრუქტაჟო თათბირები, აღმოიფხვრას გამოვლინებული ნაკლოვანებები, ამხანაგური სასამართლოები უზრუნველყოფილ იქნან საჭირო იურიდიული ლიტერატურითა და დებულებებით; ამასთან პროფკავშირის საქარხნო, საფაბრიკო და ადგილობრივმა კომიტეტებმა მეტი ყურადღება დაუთმონ შრომის დისციპლინის განმტკიცებას მუშა-მოსამსახურეთა შორის.

3. საქართველოს სსრ პროკურატურამ (ამხ. პ. ე. ბერძენიშვილი), საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ (ამხ. ვ. ი. მაისურაძე), საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტრომ (ამხ. ო. ა. ქავთარაძე) და საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმმა (ამხ. ა. ნ. ჰაიჭაძე) განამტკიცონ თავიანთი ადგილობრივი ორგანოების კავშირი ამხანაგურ სასამართლოებთან და მათი საშუალებით უზრუნველყონ ამხანაგური სასამართლოებისადმი სათანადო დახმარება და მათი მუშაობის სწორი ორგანიზაცია. სათანადო





კონტროლი დააწესონ პროკურატურის, სასამართლოსა და მილიციის ორგანოებისადმი, რათა ისეთი საქმეები, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობით ამხანაგურ სასამართლოებს ექვემდებარება, განსახილველად გადაეცეს მათ.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს და საქართველოს სსრ სამინისტროებს მისცენ სათანადო მითითებები მათდამი დაქვემდებარებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცების მიზნით ფართოდ გამოიყენონ ამხანაგური სასამართლოების ძალა და შესაძლებლობანი, ყოველმხრივ შეუწყონ მათ ხელი მუშაობის უკეთ წარმართვაში.

5. რჩევა მიეცეთ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს შექმნან საზოგადოებრივი საბჭოები, რომლებიც საერთო ხელმძღვანელობას გაუწევენ ამხანაგურ სასამართლოებს, მოაწყობენ მათთვის სემინარებს, კონსულტაციებს და განაზოგადებენ მათი მუშაობის გამოცდილებას, შეიმუშავენ და განახორციელებენ ყველა საჭირო ღონისძიებას, რაც ხელს შეუწყობს ამხანაგური სასამართლოების მუშაობის გაუმჯობესებას და მათი ავტორიტეტის ამაღლებას.

6. დაევალოს საქართველოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს განიხილონ ეს დადგენილება და გაატარონ კონკრეტული ღონისძიებები ამხანაგური სასამართლოს მუშაობის გასაუმჯობესებლად. ამხანაგური სასამართლოების მუშაობა წარმართონ ისე, რომ იგი ხელს უწყობდეს სამართლის დარღვევათა აცდენას, ადამიანების კომუნისტურად აღზრდის საქმეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭავაძე.

თბილისი. 1965 წლის 26 თებერვალი.

ბრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**100** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ანხ. ზ. ბ. გელდიაშვილის საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

გათავისუფლდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ანხ. ზაალ ბესარიონის ძე გელდიაშვილი საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭავაძე.

თბილისი. 1965 წლის 1 მარტი.



ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ

## 101 საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს გარდაქმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრო გარდაიქმნას საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროდ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამბაძე.

თბილისი. 1965 წლის 1 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ

## 102 ახ. მ. ბ. ღვინჯილიას საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ახ. მიხეილ ზაგრაძის ძე ღვინჯილია საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამბაძე.

თბილისი. 1965 წლის 1 მარტი.

### ბანყოფილება გეორგი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ

## 103 სოფლის მეურნეობის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მიანიჭების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომისა:

1. კორნელი ევსევის ძე ავალიანს — ვანის რაიონის სათავე პარკსაშრობის საკონტროლო ლაბორატორიის უფროსს.
2. გრიგოლ კირილეს ძე ასათიანს — პენსიონერს.
3. გრიგოლ ალექსანდრეს ძე ასლანაძეს — ქუთაისის საგრენაჟე ქარხნის საამქროს გამგეს.

4. შალვა ანდროს ძე **ბაგათელიას** — აფხაზეთის მეაბრეშუმეობის ლიკური კანტორის მმართველს.
5. ლევან ალექსანდრეს ძე **ბაგმანიანს** — თელავის საგრენაეე ქარხნის დირექტორს.
6. ერვანდ ამბარცუმის ძე **ბაბასიანს** — პენსიონერს.
7. აზიზ შახანის ძე **ბაზბას** — გუდაუთის რაიონის სოფელ ააცის კოლმეურნეობის აგრონომს.
8. კირილე დიმიტრის ძე **ბერაძეს** — ამბროლაურის რაიონის სოფელ სადმელის საყრდენ-საჩვენებელი კოლმეურნეობის აგრონომს.
9. პორფილე ილარიონის ძე **ბერაძეს** — გალის რაიონის შხიურის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის აგროგანყოფილების მმართველს.
10. შალვა კალენიკეს ძე **ბურჭულაძეს** — მახარაძის რაიონის სუბტროპიკული კულტურების ჯიშთა გამოცდის სახელმწიფო ნაკვეთის გამგეს.
11. ანდრო მელიტონის ძე **გაბუნას** — პენსიონერს.
12. აბრამ სოლომონის ძე **გიუნაშვილს** — პენსიონერს.
13. შალვა სარდიონის ძე **გრძელიძეს** — წულუკიძის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მთავარ აგრონომს.
